

მაგისტრატურაში მისაღები სასპეციალიზაციო გამოცდის ტესტები.  
„ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა“

**1. ბაზარზე საქონლი ფასი იზრდება, თუ:**

- ა. მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე;
- ბ. მიწოდება მეტია მოთხოვნაზე;
- გ. მოთხოვნა-მიწოდება ტოლია;
- დ. საქონელი თვისობრივად განსხვავებულია.

**2. შპს ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელია:**

- ა. მეპაიეთა ქონებით;
- ბ. საკუთარი ქონებით;
- გ. მეპაიეთა და საკუთარი ქონებით;
- დ. მეპაიეთა ქონებით წილის შესაბამისად.

**3. ლოგისტიკური ჯაჭვი უპირველესად ასახავს:**

- ა. მიწოდების მოცულობას;
- ბ. მიწოდების ღირებულებას;
- გ. მიწოდების ხანგძლივობას;
- დ. მიწოდების ხარისხს.

**4. მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში შეადგენს საბალანსო მოგების:**

- ა. 20%-ს;
- ბ. 21%-ს;
- გ. 18%-ს;
- დ. 25%-ს.

**5. დაგეგმვა არის მენეჯმენტის:**

- ა. მეთოდი;
- ბ. ხერხი;
- გ. სტრატეგია;
- დ. ფუნქცია.

**6. საწარმოს აქტივია:**

- ა. საწარმოს განკარგულებაში მყოფი მატერიალური და არამატერიალური რესურსები;
- ბ. საწარმოს განკარგულებაში მყოფი მატერიალური რესურსები და თანხა სალაროში;
- გ. საწარმოს განკარგულებაში მყოფი არამატერიალური და შრომითი რესურსები ;
- დ. საწარმოს განკარგულებაში მყოფი მატერიალური რესურსები და შენობები.

**7. სტატისტიკური აღრიცხვის ერთეულებია:**

- ა. მხოლოდ ღირებულებითი;
- ბ. მხოლოდ ნატურალური;
- გ. ნატურალურიც და ღირებულებითიც;
- დ. მხოლოდ ფიზიკური.

**8. მოწესრიგებულ ბაზარს მიეკუთვნება:**

- ა. სუპერმარკეტი;
- ბ. ჰიპერმარკეტი;
- გ. სასაწყობო ბაზა;
- დ. ბირჟა.

**9. ფირმის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სახეა:**

- ა. ქსელური;
- ბ. მატრიცული;
- გ. ზიგზაგური;
- დ. ტალღური.

**10. რატომ გვჭირდება ორი ანგარიშის გამოყენება ბუღალტრულ გატარებებში?**

- ა. ყოველი სამეურნეო ოპერაცია გავლენას ახდენს საბალანსო ტოლობაზე;
- ბ. ყოველი სამეურნეო ოპერაცია უარყოფითად მოქმედებს საბალანსო ტოლობაზე;
- გ. ყოველი სამეურნეო ოპერაცია ორმხრივად მოქმედებს საბალანსო ტოლობაზე;
- დ. ყოველი სამეურნეო ოპერაცია დადებითად მოქმედებს საბალანსო ტოლობაზე.

**11. რა არის საწყისი ნაშთი?**

- ა. პირველი ჩანაწერი ბუღალტრულ ანგარიშზე;
- ბ. პირველი ჩანაწერი ბუღალტრულ დებეტზე;
- გ. პირველი ჩანაწერი ბუღალტრულ კრედიტზე;
- დ. საწესდებო კაპიტალის მოცულობა.

**12. მოკლევადიანი ვალდებულებები აისახება საბალანსო ანგარიშში ნომრით:**

- ა. 2100;
- ბ. 2500;
- გ. 3500;
- დ. 3100.

**13. საამორტიზაციო ანარიცხების სიდიდე განისაზღვრება:**

- ა. დანადგარის ხასიათით;
- ბ. დანადგარის ხნოვანებით;
- გ. საგადასახადო კოდექსით;
- დ. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით.

**14. კორელაციური კავშირების სიმჭიდროვეს განსაზღვრავს:**

- ა. გაუსის თეორემა;
- ბ. კორელაციის კოეფიციენტი;
- გ. მიზანი და ფაქტორი;
- დ. აქტივაციის კოეფიციენტი.

**15. ძირითადი მუშები მიეკუთვნება:**

- ა. საწარმოო პერსონალს;
- ბ. არასაწარმოო პერსონალს;
- გ. მომსახურე პერსონალს;
- დ. დამხმარე პერსონალს.

**16. „გადასვლა“ არის:**

- ა. საწარმოო ოპერაციის შემადგენელი;
- ბ. საწარმოო პროცესის შემადგენელი;
- გ. საწარმოო ციკლის შემადგენელი;
- დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**17. სადაზღვევო პრემია არის:**

- ა. დაზღვევის საფასური სადაზღვევო შენატანის უზრუნველყოფისათვის;
- ბ. დაზღვევის საფასური მზღვეველის ფინანსური უზრუნველყოფისათვის;
- გ. დაზღვევის საფასური სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფისათვის;
- დ. დაზღვევის საფასური მზღვეველის და დაზღვეულის უზრუნველყოფისათვის.

**18. მენეჯმენტის მეთოდი შეიძლება იყოს:**

- ა. დაგეგმვა;
- ბ. პროგნოზირება;
- გ. ეკონომიკური;
- დ. მათემატიკური.

**19. ეფექტიანობა განისაზღვრება:**

- ა. მოგების და დანახარჯების ფარდობით;
- ბ. მოგების და თვითღირებულების ფარდობით;
- გ. თვითღირებულების და ინვესტიციების ფარდობით;
- დ. ინვესტიციების და დანახარჯების ფარდობით.

**20. პროდუქციის რეალიზაციით მისაღები თანხა განეკუთვნება:**

- ა. დებიტორულ დავალიანებას;
- ბ. კრედიტორულ დავალიანებას;
- გ. აქტიურ დავალიანებას;
- დ. ყველა პასუხი სწორია.

**21. რომელია სწორი დამოკიდებულება?**

- ა. მართვის სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება წყვეტილი პროცესია;
- ბ. მართვის სუბიექტსა და მართვის ობიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება უწყვეტი პროცესია;
- გ. მართვის ობიექტსა და მართვის სუბიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება წყვეტილი პროცესია;
- დ. მართვის ობიექტსა და მართვის სუბიექტს შორის ზემოქმედება – უკუქმედება უწყვეტი პროცესია.

**22. როგორც მოვლენა რას წარმოადგენს მენეჯმენტი?**

- ა. მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე არამიზანმიმართულ, არაგეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- ბ. მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- გ. მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ ზემოქმედებას;
- დ. მართვის ობიექტის მიერ მართვის სუბიექტზე არამიზანმიმართულ, არაგეგმაზომიერ ზემოქმედებას;

**23. რა არის ადმინისტრაციული სისტემა?**

- ა. ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც არასაბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
- ბ. ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ერთობლიობა, რომლებსაც საბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
- გ. ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ცალკეული ელემენტები, რომლებსაც საბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი;
- დ. ესაა მართვის კონკრეტული მექანიზმების ცალკეული ელემენტები რომლებსაც არასაბაზრო საზოგადოებაში აქვს ადგილი.

**24. რას მოიცავს სოციალური მართვის ერთ-ერთ მსხვილი სისტემა – ეკონომიკური მართვა?**

- ა. პოლიტიკურ მართვასა და ტაქტიკურ მართვას;
- ბ. ბაზრის მართვასა და კომერციულ მართვას;
- გ. ტექნიკურ მართვასა და კომერციულ მართვას;
- დ. ზემოთ ჩამოთვლილს სამივეს ერთად.

**25. მართვის განვითარების ისტორიაში სოციალური მიდგომის შესაბამისად რომელი ეტაპი არ არის ოთხი ძირითადი ეტაპიდან?**

- ა. პირველყოფილ-თემური;

- ბ. მონათმფლობელური;
- გ. ფეოდალური;
- დ. სოციალური.

**26. აკადემიკოს ჯ. გვიშიანის კლასიფიკაციიდან ვინ მიეკუთვნება „მეცნიერული მენეჯმენტის“- კლასიკური სკოლის ავტორებს?**

- ა. პ. დრუკერი, რ. დევისი, უ. ნიუმენი და სხვ.
- ბ. ჩ. ბერნარდი, გ. სეიმონი, ფ. სელზინკი და სხვ.
- გ. ფ. ტეილორი, ა. ფაიოლი, მ. ფოლეტტი და სხვ.
- დ. ე. მეიო, ფ. როტლიბერგერი, დ. მაკგრეგორი და სხვ.

**27. ა. ფაიოლის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებიდან რამდენია ძირითადი პრინციპი?**

- ა. 12;
- ბ. 13;
- გ. 14;
- დ. 15.

**28. დაკმაყოფილება არის სამუშაოს შინაარსის ფუნქცია, ხოლო რა არის ადამიანის დაკმაყოფილებისა და დაუკმაყოფილებლობის ფუნქცია?**

- ა. დაუკმაყოფილებლობა – შრომის პირობების ფუნქცია;
- ბ. დაკმაყოფილება არის დასვენების შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა – გადაღლის პირობების ფუნქცია;
- გ. დაკმაყოფილება არის კვების შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა – შიმშილის პირობების ფუნქცია;
- დ. დაკმაყოფილება არის სიმდიდრის შინაარსის ფუნქცია, ხოლო დაუკმაყოფილებლობა – სიღარიბის პირობების ფუნქცია.

**29. რომელი კანონი არ განეკუთვნება მართვის საერთო (ზოგად) კანონებს?**

- ა. შეგნებული და გეგმაზომიერი მართვის უპირატესი ეფექტიანობის კანონი;
- ბ. მმართველი და სამართავი სისტემების შესაბამისობის კანონი;
- გ. მართვის სისტემის არაერთიანობის კანონი;
- დ. მართვის კანონების ერთობლივად მოქმედების კანონი.

**30. რამდენი ეტაპისაგან შედგება ნებისმიერი მატერიალური სისტემის სასიცოცხლო ციკლი?**

- ა. 6;
- ბ. 7;
- გ. 8
- დ. 9

**31. რომელს არ ეყრდნობა მართვის ადმინისტრაციულ-განკარგულებითი მეთოდი?**

- ა. ფედერალური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკანონმდებლო აქტების სისტემა;
- ბ. ორგანიზაციის ნორმატიულ-დირექტიული და მეთოდოლოგიური დოკუმენტები;
- გ. გეგმები, პროგრამები და დავალებები;
- დ. საერთაშორისო თანამეგობრობის ხელმძღვანელობა.

**32. თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით ხელმძღვანელის ძალაუფლების რამდენი ძირითადი ფორმა გამოიყოფა?**

- ა) 4;
- ბ) 5;
- გ) 6;
- დ) 7.

**33. რომელი არ შედის ეკონომიკური ინტერესების სტრუქტურაში?**

- ა. საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები;
- ბ. ჯგუფური და საწარმოს ინტერესები;
- გ. პირადი ინტერესები;
- დ. კლანური ინტერესები.

**34. რა არის სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდები?**

- ა. შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე ზემოქმედების საშუალება მუშაკთა ზემოქმედებითი შრომის პირობების შექმნის გზით;
- ბ. შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე დასვენების საშუალება მუშაკთა დასვენებითი პირობების შექმნის გზით;
- გ. შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე ზედმეტი ანაზღაურების მიცემა ზედმეტი სამუშაო პირობების შექმნის გზით;
- დ. შემსრულებელთა ჯგუფზე ან მის თითოეულ წევრზე საწარმოს მიერ ეკონომიის გაკეთება შრომის პირობების გადაიარაღების გზით.

**35. ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულს შორის გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით რომელი ჯგუფი არ შედის ინფორმაციის მფლობელთა შემდეგ ჯგუფებში?**

- ა. მართვის სისტემის მხოლოდ უმაღლესი დონე;

- ბ. მართვის სისტემის უმაღლესი და საშუალო დონე;
- გ. მართვის სისტემის დაბალი დონე;
- დ. მართვის სისტემის ყველა დონე სრული მოცულობით.

**36. რომელი არ შედის ხელმძღვანელისა და დაქვემდებარებულის საქმიანი კონტაქტის, როგორც შრომითი მოტივაციის გაძლიერების მეთოდის, გამოყენების რეკომენდაციებში?**

- ა. ხელმძღვანელმა უნდა გამოიჩინოს ინტერესი ნებისმიერი ინიციატივისადმი, რომელიც საწარმოს გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს;
- ბ. ხელმძღვანელმა არ უნდა დაკარგოს დრო უაზრო ინიციატივებისადმი, რომელიც მისი აზრით საწარმოს გაუმჯობესებას ვერ შეუწყობს ხელს;
- გ. საქმის გაუმჯობესების ნებისმიერი ინიციატივა არ უნდა დარჩეს მენეჯერისაგან შეუმჩნეველი და რაიმე ფორმით წახალისების გარეშე;
- დ. თუ წინადადება დაქვემდებარებულის მიერ ბოლომდე არაა გააზრებული და მიყვანილი პრაქტიკული გამოყენების დონემდე, ხელმძღვანელმა ყურადღებით უნდა მიიღოს იგი და დაეხმაროს საქმის ბოლომდე მიყვანაში.

**37. რა არის რელაქსაცია?**

- ა. ნერვული დამაბულობის უმაღლეს დონემდე აყვანა;
- ბ. ნერვული დამაბულობის საშუალო დონემდე აყვანა;
- გ. ნერვული დამაბულობის დაბალ დონემდე დაყვანა;
- დ. ნერვული დამაბულობის მოხსნა.

**38. რომელი არ არის მართვის პრინციპების კლასიფიკაციის შემადგენელი ნაწილი?**

- ა. მართვის ზოგადი პრინციპი;
- ბ. მართვის დამოკიდებული პრინციპი;
- გ. მართვის კერძო პრინციპი;
- დ. მართვის სპეციალური პრინციპი.

**39. რა არ შედის კიბერნეტიკული პრინციპების სისტემაში?**

- ა. თვითმომართობისა და თვითმმართველობის პრინციპი;
- ბ. იერარქიის პრინციპი;
- გ. მმართველ და სამართავ ქვესისტემებს შორის ურთიერთდაპირისპირების პრინციპი;
- დ. უკუკავშირის პრინციპი.

**40. რისგან ყალიბდება მიზნის პრიორიტეტის პრინციპი?**

- ა. მიზანი-ფუნქცია-ამოცანა;
- ბ. მიზანი-ამოცანა-ფუნქცია;

- გ. ამოცანა-მიზანი-ფუნქცია;
- დ. ამოცანა-ფუნქცია-მიზანი.

**41. რა არ განეკუთვნება შესაბამისობის პრინციპს?**

- ა. დასახული მიზნების გამოყოფილ რესურსებთან შესაბამისობის პრინციპი;
- ბ. განმკარგულებლობისა და დაქვემდებარებულობის შეუსაბამობის პრინციპი;
- გ. წარმოების ეფექტიანობისა და ეკონომიკურობის პრინციპი;
- დ. წარმოებისა და მართვის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამების პრინციპი.

**42. ორგანიზაციის პრინციპის აგებისას რა არ უნდა ხორციელდებოდეს?**

- ა. ძალისხმევა გარე შემაფერხებელი ზემოქმედებების გამოსავლენად;
- ბ. ძალისხმევის უპირატესი მიმართვა დასახული მიზნის მისაღწევად;
- გ. პროცესის მიმდინარეობის ობიექტურობის უზრუნველყოფა;
- დ. პროცესის ოპტიმალური და სრული საინფორმაციო უზრუნველყოფა.

**43. რა არ განეკუთვნება ორგანიზაციისა და მმართველობითი აღრიცხვის განხორციელების პრინციპებს?**

- ა. საწარმოს საქმიანობის უწყვეტობა;
- ბ. დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ერთიანი განზომილების ერთეულების გამოყენება;
- გ. დაგეგმვისა და აღრიცხვისათვის ცალკეული განზომილების ერთეულების გამოყენება;
- დ. დანახარჯებისა და მარაგების მართვის საბიუჯეტო (სახარჯთაღრიცხვო) მეთოდის გამოყენება.

**44. რას გულისხმობს კომპენსაციის პრინციპი?**

- ა. ერთი მუშაკის უარყოფითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის დადებითი თვისებებით;
- ბ. ერთი მუშაკის დადებითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის დადებითი თვისებებით;
- გ. ერთი მუშაკის დადებითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის უარყოფითი თვისებებით;
- დ. ერთი მუშაკის უარყოფითი მახასიათებელი კომპენსირებული იქნას მეორე მუშაკის უარყოფითი თვისებებით.

**45. რა არ განეკუთვნება მართვის ეფექტური ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნის პრინციპებს?**

- ა. ორგანიზაციის პრიორიტეტული ორიენტაცია არა საწარმოო ფუნქციების შესრულებაზე, არამედ ბაზრის მოთხოვნებზე;



ბ. ორგანიზაციის პრიორიტეტული ორიენტაცია მხოლოდ საწარმოო ფუნქციების შესრულებაზე;

გ. ისეთი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფართოდ გამოყენება, რომლებიც შექმნილი არიან მიზნობრივი და არა ფუნქციური ნიშნის მიხედვით;

დ. მართვის დონეების მინიმალურად აუცილებელი რაოდენობა.

**46. რას ნიშნავს ტერმინი „ფუნქცია“?**

ა. ახსნას, განმარტებას;

ბ. დაქვემდებარებას;

გ. საქმიანობას, მოვალეობას;

დ. გაგებას, დაზუსტებას.

**47. ვინ ჩამოაყალიბა პირველად საწარმოს ფუნქციები?**

ა. რ. დევისმა;

ბ. უ. ნიუმენმა;

გ. ჩ. ბერნარდმა;

დ. ა. ფაიოლმა.

**48. რა შედის საწარმოს ფინანსურ ფუნქციაში?**

ა. კლიენტებისაგან შეკვეთების მიღება;

ბ. მოდელების დამზადება;

გ. მასალებისა და ნედლეულის შექმნა;

დ. ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ერთად.

**49. რომელი არ შედის ა. მასლოუს მიერ გამოყოფილ 5 ძირითად მოთხოვნათა შორის?**

ა. ფიზიოლოგიური მოთხოვნილება;

ბ. უსაფრთხოების მოთხოვნილება;

გ. თვითგამოვლენის მოთხოვნილება;

დ. იდეოლოგიის მოთხოვნილება.

**50. რამდენი სუბიექტისაგან შედგება ა. მასლოუს იერარქიული პირამიდა?**

ა. 4;

ბ. 5;

გ. 6;

დ. 7.

**51. ბაზარზე საქონლის ფასს განსაზღვრავს:**

ა. საქონლის ხარისხი;

ბ. საქონლის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები;

- გ. მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა;
- დ. საქონელზე მოთხოვნის სიდიდე.

**52. ოლიგოპოლია ისეთი ბაზარია, სადაც მოქმედებს კონკურენტული ფიემების:**

- ა. დიდი რაოდენობა;
- ბ. მცირე რაოდენობა;
- გ. ორი ფირმა;
- დ. ერთი ფირმა.

**53. წარმოების ფაქტორებს მიეკუთვნება**

- ა. კაპიტალი;
- ბ. შრომა
- გ. კაპიტალი და შრომა;
- დ. კაპიტალი და ადამიანები.

**54. ძირითადი კაპიტალი საწარმოო ციკლში მონაწილეობს:**

- ა. მხოლოდ ერთხელ;
- ბ. რამდენჯერმე;
- გ. ორჯერმე;
- დ. მრავალჯერ.

**55. შრომის საგნები საწარმოო ციკლში მონაწილეობს:**

- ა. მხოლოდ ერთხელ;
- ბ. რამდენჯერმე;
- გ. ორჯერმე;
- დ. მრავალჯერ.

**56. შრომის ანაზღაურების ფორმას მიეკუთვნება:**

- ა. სანარდო ხელფასი;
- ბ. სანარდო-პრემიალური ხელფასი;
- გ. აკორდული ხელფასი;
- დ. სანარდო-პროგრესული ხელფასი.

**57. მენეჯმენტის ფუნქციას მიეკუთვნება:**

- ა. წარმოება;
- ბ. ვაჭრობა;
- გ. კონტროლი;
- დ. განკარგულება.

**58. ფულის აგრეგატი M1 არის:**

- ა. ბანკებში არსებული ფული;
- ბ. ბანკებში დეპოზიტებზე არსებული ფული;
- გ. ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი და დეპოზიტებზე არსებული ფული;
- დ. ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული.

**59. მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის სახეს მიეკუთვნება:**

- ა. ჰორიზონტალური;
- ბ. ხაზობრივი;
- გ. ვერტიკალური;
- დ. მბრძანებლურ-ადმინისტრაციული.

**60. დღგ-ს დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს წარედგინება:**

- ა. შემოსავლის მიღების მომენტში;
- ბ. მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე;
- გ. მომდევნო თვის 15 რიცხვამდე;
- დ. მომდევნო წლის პირველი თვის 15 რიცხვამდე.

**61. სარკინიგზო, საზღვაო და სამდინარო სატრანსპორტო საშუალებებზე ამორტიზაციის ნორმა შეადგენს:**

- ა. 20 %-ს;
- ბ. 10 %-ს;
- გ. 15 %-ს;
- დ. 8 %-ს.

**62. ორგანიზაციის ვალდებულებები მიეკუთვნება:**

- ა. აქტივის განაყოფს;
- ბ. პასივის განაყოფს;
- გ. საკუთარ კაპიტალს;
- დ. სესხს.

**63. ორმაგი აღრიცხვა ნიშნავს:**

- ა. თანხის ჩაწერას დებეტსა და კრედიტში;
- ბ. თანხის ჩაწერას დებეტის ორ ანგარიშში;
- გ. თანხის ცაწერას კრედიტის ორ ანგარიშში;
- დ. თანხის ჩაწერას აქტიურ და პასიურ ანგარიშებში.

64. არამატერიალური აქტივების თვითღირებულება არის ის ღირებულება, რომელიც:
- ა. მისი გამოგონებისათვის;
  - ბ. მის მოსაპოვებლად;
  - გ. მის სარეალიზაციოდ;
  - დ. მისი დაპატენტებისათვის.
65. დანახარჯების გამოსყიდვის ვადა განისაზღვრება:
- ა. ეკონომიის და დანახარჯების თანაფარდობით;
  - ბ. მიღებული ეკონომიის სიდიდით;
  - გ. დანახარჯების შეფარდებით ეკონომიასთან;
  - დ. დანახარჯების სიდიდით.
66. სტატისტიკური დაკვირვება შეიძლება იყოს:
- ა. ერთიანი;
  - ბ. დანაწევრებული;
  - გ. ერთიანი და დანაწევრებული;
  - დ. არცერთი პასუხი არ არის სწორი.
67. რიცხვთა მწკრივის წევრების ჯამის შეფარდება მწკრივის წევრების რიცხვზე არის:
- ა. მარტივი საშუალო სიდიდე;
  - ბ. საშუალო შეწონილი;
  - გ. საშუალო ჰარმონიული;
  - დ. მრავალგანზომილებიანი საშუალო.
68. ფაქტორებს შორის კორელაციული დამოკიდებულება უფრო მჭიდროა, თუ კორელაციის კოეფიციენტი:
- ა. უფრო მაღალი რიცხვია;
  - ბ. ახლოსაა ერთთან;
  - გ. ახლოსაა ნულთან;
  - დ. უფრო დაბალი რიცხვია.
69. ფ. ტეილორის მიხედვით „მშრომელთა კოოპერაცია“ არის:
- ა. მართვის მეთოდი;
  - ბ. მართვის ფორმა;
  - გ. მართვის პრინციპი;
  - დ. მართვის ფუნქცია.

70. ა. ფაიოლის მიხედვით „ხელმძღვანელობის ერთიანობა“ არის:

- ა. მართვის პრინციპი;
- ბ. მართვის მეთოდი;
- გ. მართვის ფორმა;
- დ. მართვის ფუნქცია.

71. რომელი არ შედის კონტროლინგის 4 ძირითად შემადგენელ ნაწილში?

- ა. ადმინისტრაციული კონტროლი;
- ბ. ტექნოლოგიური კონტროლი;
- გ. პიროვნული კონტროლი;
- დ. ფუნქციონალურ, კომპლექსური და სისტემური აუდიტი.

72. რას ეყრდნობა კონტროლის ძირითადი ელემენტების პრინციპი?

- ა. დებულებას, რომლის თანახმადაც სტანდარტები დაგეგმვის ელემენტები არ არის;
- ბ. დებულებას, რომლის თანახმადაც სტანდარტები დაგეგმვის ელემენტებია;
- გ. დებულებას, რომლის თანახმადაც ელემენტები დაგეგმვის სტანდარტებია;
- დ. დებულებას, რომლის თანახმადაც ელემენტები დაგეგმვის სტანდარტები არ არის.

73. რას არ მოიცავს თვითკონტროლის პრინციპი?

- ა. სამართავი სისტემის მდგომარეობისა და ფუნქციონირების სტანდარტების დადგენას;
- ბ. მმართველი სისტემის მიმდინარე მდგომარეობისა და მასში მიმდინარე პროცესების შეფასებას შესაძლო გადახრების გამოვლენის მიზნით;
- გ. გამოვლენილი გადახრების დაძლევას, ანუ მმართველი სისტემის მოყვანას ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს;
- დ. გადახრებთან დაკავშირებით დამნაშავეს გამოვლენას და დასჯას.

74. რომელი მაჩვენებელი არ გამოიყენება ჩვეულებრივ შერჩევითი კონტროლის სისტემაში?

- ა. შესრულებული ოპერაციების რაოდენობა;
- ბ. არსებული ოპერაციების შემადგენლობა, სირთულე და მოცულობა;
- გ. კონკრეტული ოპერაციების შესრულების სისწრაფე;
- დ. სამუშაო დროის დანახარჯები.

75. რა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული აუდიტის ძირითად ობიექტს?

- ა. ორგანიზაციის სტრატეგიები;

- ბ. ორგანიზაციის ფუნქციები;
- გ. ორგანიზაციის სტრუქტურა;
- დ. ინფორმაციული ტექნოლოგიების არ ქონა.

**76. რა არ შედის კონტროლის სისტემაში?**

- ა. კონტროლის სისტემა უნდა იყოს დამოუკიდებელი და არ უნდა შეესატყვისებოდეს ორგანიზაციის მიზნებს, ამოცანებსა და გეგმებს;
- ბ. კონტროლის სისტემა გასაგები და მისაღები უნდა იყოს ორგანიზაციის მართვის ყველა დონის ხელმძღვანელისათვის;
- გ. კონტროლის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მის დროულ განხორციელებას;
- დ. კონტროლის სისტემა უნდა იყოს მოქნილი, ანუ უნდა ფლობდეს იმის უნარს, რომ სწრაფად მოერგოს ორგანიზაციის გარე და შიდა ცვლილებებს.

**77. რომელ ძირითად ელემენტს არ მოიცავს მმართველობითი აღრიცხვის მეთოდი?**

- ა. დოკუმენტირებას;
- ბ. ნორმირებას;
- გ. ლიმიტირებას;
- დ. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებს.

**78. რით განისაზღვრება საწარმოს ქონების რენტაბელობა?**

- ა. წმინდა მოგებისა და არაბრუნვითი აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობით;
- ბ. როგორც წმინდა მოგებისა და საწარმოს აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობა;
- გ. წმინდა მოგების თანაფარდობა საკუთარი კაპიტალის მიმართ;
- დ. წმინდა მოგებისა და საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდის თანაფარდობა.

**79. რას მოიცავს ადმინისტრაციული ხასიათის საქმიანობა?**

- ა. შრომის ანაზღაურებას;
- ბ. შრომითი პროცესის რითმულობის დაცვას;
- გ. ენერგიით უზრუნველყოფას;
- დ. სამუშაოთა განაწილებას.

**80. რას მოიცავს სოციალურ-ფსიქოლოგიური პირობების შექმნა?**

- ა. საშემსრულებლო დისციპლინის დაცვას;
- ბ. შრომითი პროცესის რითმულობის დაცვას;

- გ. სპეციალისტებთან მოთათბირებას;
- დ. საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფას.

**81. საწარმო განიხილება, როგორც:**

- ა. ტექნიკური სისტემა;
- ბ. ეკონომიკური სისტემა;
- გ. სოციალური სისტემა;
- დ. ყველა ზემოაღნიშნულის ერთობლიობა.

**82. რა არის დამახასიათებელი საწარმოს მენეჯმენტის სისტემისათვის?**

- ა. სრული დამოუკიდებლობა სხვა სისტემებისგან;
- ბ. დინამიურობა;
- გ. პროცესების არაკანონზომიერი განვითარება;
- დ. ანტიმონოპოლიური ფუნქცია.

**83. რას ექვემდებარება ძირითადად მენეჯმენტის პროცესი?**

- ა. ფაქტორებისა და მოვლენების ექსპერტულ შეფასებას;
- ბ. ციფრობრივ ასახვას;
- გ. მათემატიკურ მანიპულირებას;
- დ. ავტომატურ მარეგულირებელ ზემოქმედებას.

**84. მართვის აპარატის საქმიანობის უზრუნველსაყოფად რა არ არის საჭირო?**

- ა. ბუნებრივი რესურსი;
- ბ. ადამიანისეული რესურსი;
- გ. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- დ. ინფორმაციული რესურსი.

**85. რომელ ქვესისტემებს მოიცავს საწარმო, როგორც მართვადი სისტემა?**

- ა. ეკოლოგიურს;
- ბ. სოციოლოგიურს;
- გ. სამართლებრივს;
- დ. სოციოტექნიკურს.

**86. რას წარმოადგენს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა?**

- ა. საწარმოს სტრატეგიას;
- ბ. საწარმოს პროფილს;
- გ. საწარმოს სამსახურებისა და ქვედანაყოფების ერთიანობას;
- დ. მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობის ერთიანობას.

**87. რას წარმოადგენს საწარმოს მართვის სტრუქტურა?**

- ა. საწარმოს უბნების, საამქროებისა და ბრიგადების ერთიანობას;
- ბ. სასაწყობო და დამხმარე მეურნეობის, სარემონტო საწარმოების ერთიანობას;
- გ. საყოფაცხოვრებო-კომუნალური სამსახურების ერთიანობას;
- დ. მართვის ორგანოებისა და მართვის მუშაკების შემადგენლობას, მათი ურთიერთდაქვემდებარების სისტემას.

**88. რას წარმოადგენს საწარმოს ფილიალი?**

- ა. იურიდიული პირის პარტნიორს;
- ბ. იურიდიული პირის განცალკევებულ ქვედენაყოფს;
- გ. იურიდიულ პირს;
- დ. მოცემული იურიდიული პირის მდებარეობის ადგილზე განლაგებულ საწარმოს.

**89. რას უთმობენ მეტ ყურადღებას მსხვილი და საშუალო ფირმების მაღალი დონის მმართველები?**

- ა. სტრატეგიულ დაგეგმვას;
- ბ. ტაქტიკურ დაგეგმვას;
- გ. ოპერატიულ დაგეგმვას;
- დ. მიმდინარე დაგეგმვას.

**90. რაზე აგებენ უშუალოდ პასუხს საშუალო რგოლის მმართველები?**

- ა. საწარმოს საქმიანობის განსაზღვრაზე;
- ბ. ფირმის კეთილდღეობაზე;
- გ. სამსახურებისა და განყოფილებების მუშაობაზე;
- დ. საწარმოს ფინანსებზე.

**91. რა არის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა?**

- ა. მართვის ობიექტებისა და სუბიექტების ელემენტების ინფორმაციული კავშირებით განპირობებული ერთობლიობა;
- ბ. სტრუქტურული ქვედანაყოფების ურთიერთგანლაგება;
- გ. სტრუქტურული ქვედანაყოფების ტექნოლოგიური კავშირი;
- დ. ორგანიზაციის მართვის დონეები.

**92. ვინ არის ტრადიციული (ბიუროკრატიული) მართვის სტრუქტურის კონცეფციის ავტორი?**

- ა. მაქს ვებერი;
- ბ. კარლ მარქსი;
- გ. ტორსტენ ვებლენი;
- დ. ლეონ ვალრასი.



**93. როგორია მართვის ბიუროკრატიული ტიპის სტრუქტურა?**

- ა. ერთდონიანი;
- ბ. ჰორიზონტალური წრფივი (ხაზობრივია);
- გ. იერარქიული;
- დ. ერთგვაროვანი.

**94. რა არის ორგანული (ადაპტური) სტრუქტურის ნიშან-თვისებები?**

- ა. იგი ბიუროკრატიული ორგანიზაციის მსგავსია;
- ბ. ბიუროკრატიული ორგანიზაციის ანტიპოდი;
- გ. გადაწყვეტილების მიღება ავტორიტეტზე, წესებსა და ტრადიციებზეა დაფუძნებული;
- დ. არ გულისხმობს ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობების არსებით ცვლილებას.

**95. სად არის გავრცელებული მართვის პროგრამულ-მიზნობრივი სტრუქტურა?**

- ა. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;
- ბ. საწარმოებში;
- გ. სახელმწიფო მართვის ორგანოებში;
- დ. სამეცნიერო კვლევით და ექსპერიმენტალურ ორგანიზაციებში.

**96. რას ნიშნავს უფლებამოსილების დელეგირება?**

- ა. რესურსების განაწილებას;
- ბ. პასუხისმგებლობის განაწილებას;
- გ. ფუნქციების განაწილებას;
- დ. პროდუქციის განაწილებას.

**97. რას მიეკუთვნება ორგანიზაციის იმიჯი?**

- ა. ეკონომიკურ ფაქტორებს;
- ბ. ტექნოლოგიურ ფაქტორებს;
- გ. ბუნებრივ ფაქტორებს;
- დ. სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს.

**98. რა არის კომუნიკაცია?**

- ა. საქონლის გაცვლის პროცესი;
- ბ. ინფორმაციის გაცვლის პროცესი;
- გ. გამოცდილების გაცვლის პროცესი;
- დ. ტექნოლოგიის გაცვლის პროცესი.

**99. რა არის ინფორმაცია?**

- ა. სუბიექტსა და ობიექტს შორის კავშირის ფორმა;
- ბ. ადამიანებს შორის შეტყობინებების გაცვლა;
- გ. მენეჯმენტის უზრუნველყოფა შეტყობინებებით;
- დ. სარწმუნო და ოპერატიული ნაკადების ერთიანობა.

**100. სად ფიქსირდება და აისახება ინფორმაციის დიდი ნაწილი, რომელიც წარმოიშობა მენეჯმენტის ფუნქციების განხორციელების პროცესში?**

- ა. საინფორმაციო ბიულეტენებში;
- ბ. სტატისტიკურ კრებულებში;
- გ. დოკუმენტებში;
- დ. ინტერნეტში.

**ლიტერატურა:**

1. ტყეშელაშვილი გ. და სხვ. მიკროეკონომიკა. თბ. 2003.
2. ნემსაძე ყ. და ცხვ. ბუღალტრული (ფინანსური) აღრიცხვის საფუძვლები. თბ. 2015.
3. მოისწრაფიშვილი მ. და სხვ. სტატისტიკური აღრიცხვა. თბ. 2012.
4. ყამარაული ს. და სხვ. გადასახადები და დაბეგვრა. თბ. 2010.
5. ტყეშელაშვილი გ. და სხვ. ფირმის მენეჯმენტი. თბ. 2014.
6. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე „მენეჯმენტის საფუძვლები“. თბილისი. 2011 წ.
7. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“. თბილისი. 2007 წ.

